# ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 30 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ზერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი:**

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ვ. გაბედავას 2018 წლის 17 ივლისის №03/3227 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8**

**წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა**

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ვ. გაბედავას 2018 წლის 17 ივლისის №03/3227 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და იმავე დასკვნით მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული რეგულაციის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მოწესრიგება და წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.
**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 8**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ და განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა განმარტა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ე. ჯობავას განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა 2018 წლის 5 ივლისს და განხილულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის პროექტიც მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით. წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში. მომზადებული განკარგულების პროექტი ფინანსური თვალსაზრისით შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.
**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 8**
**წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია